# ვის აქვს უფლება იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში

## კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ:

- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს;
- ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს/წარმომადგენლებს;
- შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის არაუმეტეს 1 წარმომადგენელს;

- რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების დამკვირვებლებს (ერთი და იმავე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის არაუმეტეს 1 დამკვირვებელს);

- რეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციების დამკვირვებლებს (ერთი და იმავე საერთაშორისო ორგანიზაციის არაუმეტეს 2 დამკვირვებელს (მათ შესაძლოა ახლდეთ თარჯიმანი);

- მედიის აკრედიტებულ წარმომადგენლებს (ერთი და იმავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების არაუმეტეს 2 წარმომადგენელს).

## ყურადღება!

- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს აუცილებლად უნდა ეკეთოს მისი ვინაობისა და სტატუსის აღმნიშვნელი სამკერდე ნიშანი (მოწმობა).

- საარჩევნო სუბიექტის (არჩევნებში მონაწილე პარტია/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი) წარმომადგენელი საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ იმ საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობაში, რომელშიც მას აქვს რეგისტრაცია.

საქართველოს
**პირველი არხი**